ხაშურის მოამბე

№22 (153) 4 ივნისი, ორშაბათი, 2018 წელი

დაათვალიერეს ინფრასტრუქ-ტურული სამუშაოები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ტეზერში, სააღმზრდელო დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოებს გაეცნო. სოფელში საბავშვო ბაღი, ათწლეულების განმავლობაში არ ყოფილა, ფუნქციონირებდა მხოლოდ ალტერნატიული სააღმზრდელო დაწესებულება, რაც აღსაზრდელების ოჯახებისთვის დამატებით ხარჯებთან და მოუქნელ სამუშაო რეჟიმთან ასოცირდებოდა.

„ადგილობრივების საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა ფართი, სადაც ამ ეტაპზე რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება ჯამში 95 998 ლარია. სამუშაოების დასრულების შემდეგ, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი შენობა პატარების აღზრდისთვის საუკეთესო პირობებს შექმნის“. -აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

სოფელ მცხეთიჯვარში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს და სოფელში გადაადგილება კომფორტული და უსაფრთხო გახდება. ბეტონის გზით ცხეთიჯვრის გარდა სოფლების: წაღვლის, წეღვერის, ყობის, ჩორჩანის, კლდისწყაროს, ტიტვინისწყაროს, ზემო და ქვემო ბროლოსნის 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და სტუმარი ისარგებლებს. სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება, 264 380 ლარს შეადგენს.

დაბა სურამში, 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება. ათწლეულების განმავლობაში აღნიშნულ ქუჩას რეაბილიტაცია არ ჩატარებია. ამჯერად ეწყობა ასფალტის საფარი, სანიაღვრე არხები. 26 მაისის ქუჩაზე 800-მდე მოსახლე ცხოვრობს და პროექტის დასრულების შემდეგ მათი საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება. პროექტი თანადაფინანსებით ხორციელდება და ჯამში 542 400 ლარს ითვლის.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის ეზოს კეთილმოწყობა, სადაც განთავსდება მინი სტადიონი, საჩოგბურთო მოედანი, ავტოსადგომი, რეკრეაციული ზონები. ეზოს მოწყობის პროექტი ჯამში 700 000 ლარს ითვლის.სამუშაოები ზაფხულში დასრულდება.

სპექტაკლი დამთავრდა... დაისვენეთ, ბატონებო!

ტრაგედიამ, რომელიც ამ დღეებში მოხდა, შეძრა სურამი და მთელი მუნიციპალიტეტიც – ბოროტ ხელს ემსხვერპლა ადამიანი, რომელსაც კარგის მეტი არაფერი უნდოდა მშობლიური დაბისთვის. შავმა ძალამ იმარჯვა სიკეთეზე.

ხარხარებს ლუციფერი, ამაყობს დემონი საკუთარი ძლევამოსილებით და ის საქმე, რომელსაც კეთილდღეობა უნდა მოეტანა სურამისთვის, დღეს ძაძებით შემოსვის წინაპირობად იქცა.

ჩვენ, დღევანდელ წერილში, აღარ გვინდა შევჩერდეთ, იმ სიკეთეებზე, რაც ბაიანთხევის ტყეში მაღალი კლასის სასტუმროს აშენებას შეიძლებოდა მოეტანა. ამ თემას, ერთი თვის წინ, საკმაოდ ვრცელი მასალა მივუძღვენით და აღარ განვმეორდებით. აი, იმ „პროტესტანტებზე” და ისტერიკოსებზე კი აუცილებლად უნდა ვთქვათ.

არ ვიცი, მეცნიერებას რაიმე ლათინური ტერმინი თუ მიუნიჭებიათ ადამიანთა კატეგორიისათვის, რომლებისთვისაც ნებისმიერი მტკიცებულება, ნებისმიერი დასაბუთებული არგუმენტი არაფერს წარმოადგენს და ისტერიულ ვნებამოწოლილები კატეგორიულად არ აღიარებენ, რომ თეთრი არაფრით არ არის შავი, ამ კატეგორიის ადამიანებთან აზრი არ აქვს არც კამათს, არც-დისპუტს, არც-პოლემიკას. ყველაზე უარესი ისაა, რომ თავიდან-ბოლომდე სიცრუეზე აგებულ „თეორემას” სხვებსაც ახვევენ თავზე. ასე იყო იმ სასტუმროსთან დაკავშირებულ შემთხვევაშიც. ათი თუ თხუთმეტი კაცი დააფრიალებდა ამ „ნაარზევს”, რომლის მთავარი „პრეამბულა” გახლდათ ის, რომ სასტუმროს აშენებით ტყე გაიჩეხება და ამის წინააღმდეგ ხელს აწერინებდნენ მოსახლეობას. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ ხელმოწერებში, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ბეკამში მცხოვრებლებიც ურევია. ესეც ერთი კლასიკური მაგალითი ანდაზისა: „საიდან სადაო, წმინდაო საბაო”.. ოღონდაც ხემომწერების სიმრავლით გაემაგრებინათ „არგუმენტი” და ყველაფერზე მიდიოდნენ. არადა, დაიწერა, აუხსნეს, განუმარტეს, რომ ტყეში ერთი ხეც არ იჭრებოდა. მათვე აჩვენეს პროექტი, გააცნეს გეოლოგიური დასკვნა, სხვა დუკუმენტები, მაგრამ პასუხი იყო უფრო „მყარი” – მაინც არ ავაშენებინებთ! სხვათაშორის, ჩვენ პირადად ვნახეთ ბევრი ხელმომწერი და ყველა, ხახს ვუსვამთ – ყველა ამბობს, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს. ამ „პროტესტანტების” ერთ-ერთი ლიდერი სწორედ ის მკვლელი გახლდათ (უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე - ეჭვმიტანილი), რომლის ხელსაც ემსხვერპლა ადამიანი. ჭორიკნებს რა დალევს და ათასგვარი ჭორი გამოაცხვეს სასწრაფოდ. თითქოს მამია ბითაძე, წინა დღეებში სახლში მიეჭრა ეჭვმიტანილს, თითქოს წინა დღეს, მას მამიას შვილები ეჩხუბნენ და ათასი ამნაირი. რეალობა კი ასეთია: ეჭვმიტანილმა თვითონ აიყვანა გრეიდერი ტყეში, თან წაიღო გამზადებული იარაღი და ჩატარებული მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოშლა დაიწყო. როდესაც მსხვერპლი თავზე დაადგა და მოსთხოვა პასუხი, რა უნდოდა მას სხვის კუთვნილ ტერიტორიაზე, მცირე შელაპარაკების შემდეგ, პირდაპირე დაახალა თოფი და გაიქცა.

როდესაც საზოგადოება ასეთი ფაქტის წინაშე დგება, როდესაც ამ საზოგადოების ერთი ინდივიდი მეორეს მუხანათურად კლავს, გარკვეულწილად, პასუხისმგებელი ეს საზოგადოებაცაა, რადგან სწორედ მათ წიაღში იშვა და ჩამოყალიბდა მკვლელი მკვლელად. მეც ამ საზოგადოების შვილი ვარ და ალბათ, მეც მაკისრია ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, უფრო მეტი პასუხისმგებლობა სწორედ იმ „პროტესტანტებმა” უნდა აიღონ თავის თავზე და სულ მინიმუმ, უფალს მაინც შესთხოვონ მიტევება, რომ მათმა ლიდერმა, რომლის „საპატიო მრევლი” თვითონ იყვნენ, უზენაესი შემოქმედის ერთ-ერთი უპირველეს ცნებას გადაუსვა ხაზი – „არა კაც კლა!“

დღევანდელი გადასახედიდან ძნელია იმის თქმა, გაგრძელდება თუ არა სასტუმროს მშენებლობა, ბატონი მამიას შვილებს, ამდენი ნერვიულობის შემდეგ, თუ შერჩებათ ძალა ამ დიდი და კარგი საქმის ბოლომდე მისაყვანად, მანამდე კი კვლავ იმ ისტერიკოსებს მივმართავ: სპექტაკლი დამთავრდა, „შედეგი“ არის, დაისვენეთ, ბატონებო! თუმცა, ძალიანაც არ მოდუნდეთ, რა იცით, კიდევ ვიღაც არ გამოხტეს სურამში კეთილი საქმის გამკეთებელი!

გ. გოგოლაძე

,,ხაშურის მოამბე“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მამია ბითაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ავტოსკოლა გიწვევთ სასწავლებლად!

ხაშურის ავტოსკოლა აცხადებს მსმენელთა მიღებას “A”, “B”, “C”, “D”, “E”, “I”, “S” კატეგორიებზე და ავტოამწის კურსებზე. თეორიული მომზადება მოხდება უმოკლეს ვადებში. პრაქტიკული სწავლება(ავტომანქანის მართვა) განხორციელდება ავტომობილი “შკოდა-ფაბია”-თი, როგორც დახურულ ავტოდრომზე, ასევე ქალაქის პირობებში.

მის: ხაშური, რუსთაველის ქ. #42, #103, გორგასლის ქ. #13 (ყოფილი “დოსააფი“). ტ: 598 22 66 99 551 99 22 88

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში 2017-2018 სასწავლო წელს (ხაშურის, სურამის, ქვიშხეთის) ირიცხება 471 მოსწავლე ,აქედან ხაშურის სამუსიკო სკოლაში -290 მოსწავლე, სურამის სამუსიკო სკოლაში-97 მოსწავლე, ქვიშხეთის სამუსიკო სკოლაში-84 მოსწავლე.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან სახელოვნებო სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ღონისძიებებში.

1. 2017 წლის 22 მარტს ,ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, პედაგოგ ფატი სადაღაშვილის ორგანიზებით, გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო. მონაწილეობდნენ სიმებიანი კვარტეტი და საორკესტრო განყოფილების(ვიოლინო) მოსწავლეები: I კლასის მოსწავლე ანი ქურდაძე, II კლასის მოსწავლე სოფიო ნოზაძე, V კლასის მოსწავლე ლიკა კალმახელიძე, კ/მ თ. აბრამიძე.

საღამოზე პიაცოლას, ვივალდის, გლუკის, რუბინშტეინის, ბომის, ხაჩატურიანის, ჩაიკოვსკის, კრეისლერის და ბეთჰოვენის ნაწარმოებები შესრულდა.

საღამოს უძღვებოდა პედაგოგი ინგა ხრიკაძე.

2. 2017 წლის 1 აპრილს, ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ- ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლაში გაიმართა მე-X საიუბილეო რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები 2017'', სადაც მონაწილეობა მიიღეს II კლასის მოსწავლე სოფიო ნოზაძე (ვიოლინო, პედაგოგი ფ. სადაღაშვილი, კ/მ თ. აბრამიძე). V კლასი მოსწავლე (ვიოლინო) ლიკა კალმახელიძე. პედაგოგი ფ. სადაღაშვილი, კ/მ თ. აბრამიძე. III კლასი მოსწავლე ბარბარე ნოზაძე(ფორტეპიანო), პედაგოგი მ. მურადაშვილი. ხაშურის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდი(ხელმძღვანელი მერი ჭანკოტაძე).კ/მ თ. აბრამიძე.

3. 4 აპრილი, 2017 წელი. გაიმართა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების III ეროვნული კონკურსი. I ტური ჩატარდა ქ.გორში, სადაც მონაწილეობა მიიღო ხაშურის სამუსიკო სკოლის ვოკალურმა ანსანბლმა.პედაგოგი ლიანა ტატიშვილი.

4. 21 აპრილი, 2017 წელი. ხაშურის სამუსიკო სკოლაში, პედაგოგ ლიანა ტატიშვილის ორგანიზებით, ერთგვარი საანგარიშო კონცერტი გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ მსმენელთან ერთად კონცერტს ესწრებოდა შვეიცარიის ქ. ბაზელიდან კონსერვატორიის პროფესორი მარკ გუთთუბი. უცხოელმა სტუმარმა ხაშურელ მუსიკოსების მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს მაღალი შეფასება მისცა და სამომავლოდ უფრო ღრმა თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

5. 25 აპრილი, 2017 წელი. ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების და აზერბაიჯანის, დაბა ხირდალანის 11 წლიანი სამუსიკო სკოლების მოსწავლეების ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

ხაშურის სამუსიკო სკოლიდან მსმენელის წინაშე წარსდგნენ პედაგოგ ლიანა ტატიშვილის ვოკალური ანსანბლი ,პედაგოგ ფატი სადაღაშვილის ვიოლინოს კლასის მოსწავლეები: სოფიო ნოზაძე და ლიკა კალმახელიძე.

სტუმრებმა ნაწარმოებები შეასრულეს როგორც კლასიკურ ინსტრუმენტებზე,ასევე ეროვნულ საკრავებზე.

გაერთიანების მმართველმა მეგობრობის ნიშნად დიპლომთან ერთად გადასცა სამახსოვრო საჩუქრები,ასევე სტუმრებმაც სკოლას გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. მათ სურვილი გამოთქვეს მეგობრობასა და სამომავლო თანამშრომლობაზე.

6. 27 აპრილი, 2017 წელი. ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი (საორკესტრო განყოფილება) მოსწავლესთან ანი ქურდაძე, პედაგოგი ფ.სადაღაშვილი,კ/მ ე.ნოზაძე.

7. 7 მაისი , 2017 წელი. ქ. თბილისში, ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, გაიმართა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების III ეროვნული კონკურსი II ტური , სადაც მონაწილეობა მიიღო ხაშურის სამუსიკო სკოლის ვოკალურმა ანსანბლმა. პედაგოგი ლიანა ტატიშვილი.

8. 2017 წლის 3-8 მაისის ჩათვლით, თურქეთის ქ.სიდეში გაიმართა .VII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი , სადაც მონაწილეობა მიიღო ხაშურის სამუსიკო სკოლის II კლასის მოსწავლემ სოფიო ნოზაძემ (ვიოლინო), პედაგოგ ფ. სადაღაშვილი კ/მ თ. აბრამიძე. სოფიომ თავის ასაკობრივ კატეგორიაში I ადგილი დაიკავა და მიიღო ლაურეატის წოდება. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ: სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, ლიტვა,ლატვია, ყირგიზეთის და რუსეთის მოსწავლეები. ასევე, კონკურსის ფარგლებში, ჩატარდა ფესტივალიც, სადაც სოფიოსთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა და ამჟამად ქ. გორის სამუსიკო სემინარიის მოსწავლემ- საბა ხუციშვილმა, რომელიც ასევე დაჯილდოვდა ლაურეატის წოდებით. დიპლომებით დაჯილდოვდნენ პედაგოგი ფ. სადაღაშვილი და კ/მ თ. აბრამიძე.

9. 30 მაისი, 2017 წელი. ჩატარდა ხაშურის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგ მაია მურადაშვილის საჩვენებელი გაკვეთილი. I კლასის მოსწავლე სანდრო კაპანაძესა და III კლასის მოსწავლე ბარბარე ნოზაძესთან. გაკვეთილზე შესრულდა კლასიკური ნაწარმოებების სრული პროგრამა:ი.ს. ბახის, გ.ჰენდელის, დ. სკალატის,კ. დებიუსის ნაწარმოებები. მოსწავლეებმა გამოავლინეს მაღალი კლასის საშემსრულებლო კულტურა და აკადემიური მუსიკალური უნარ-ჩვევები. აღსანიშნავია, რომ სანდრო კაპანაძე ეუფლება ორ საკრავს: ვიოლინოს და ფორტეპიანოს. ორივეს ერთნაირი წარმატებით და მონდომებით. ხოლო ბარბარე ნოზაძემ წარმატებით მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ კონკურს -ფესტივალზე,,მომავლის ვარსკვლავები - 2017''

10. 31 მაისი, 2017 წელი. ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი პირველკლასელთა ტრადიციული კონცერტი.

11. 4 ივნისი, 2017 წელი. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა X საიუბილეო რესპუბლიკურ კონიკურს- ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები- 2017 '' გალა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სავიოლინო კლასის მოსწავლეებმა: II კლასის მოსწავლე სოფიო ნოზაძემ,V კლასის მოსწავლე ლიკა კალმახელიძე, პედ. ფ. სადაღაშვილი,კ/მ თ. აბრამიძე. და ხაშურის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა პედ. მ. ჭანკოტაძე , კ/მ თ. აბრამიძე. ფესტივალის ყველა მონაწილემ მიიღო ლაურეატის წოდება,ხოლო ნომინაციაში,, პატარა ვირტუოზი შემსრულებელი'' სოფიო ნოზაძე და ნომინაციაში „ყველაზე არტისტული შემსრულებელი'' ლიკა კალმახელიძე დაჯილდოვდნენ.

12. 7 ივნისი, 2017 წელი. პოეტ ეკა ბაქრაძის პოეზიის საღამოზე მონაწილეობა მიიღო ლიკა კალმახელიძემ პედ. ფ. სადაღაშვილთან ერთად.

13. 11 ივნისი, 2017 წელი. ქ. თბილასში კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა ფესტივალ-კონკურსი „იპოვე შენი ვარსკვლავი''(თავ-რე სვეტლანა ჩიჩუა), სადაც მონაწილეობა მიიღო პედ. ლიანა ტატიშვილის ვოკალურმა ანსანბლმა.

14. 22 ივნისი, 2017 წელი. ხაშური სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საგნის „მუსიკის მოსმენა ''შემაჯამებელი გაკვეთილი. ეს საგანი მეშვიდე წელია თეორიულა საგნების რიგს შეუერთდა და მოსწავლეების და მშობლების დიდი სიყვარული დაიმსახურა. საგანი გულისხმობს: ევრისტიკურ საუბრებს, მულტიმედიურ აქტივობებს, თეატრალურ- ქორეოგრაფიულ ეტიუდებს, ვოკალურ და ინსტრუმენტული მუსიკის,, ოქროს ფონდიდან'' საუკეთესო და ასაკობრივად შესაბამისი ნაწარმოებების მოსმენა და საუბრები, მუსიკის კავშირს ლიტერატურასა და მხატვრობასთან თამაშებს და იმპროვიზაციას. წლევანდელი II კლასელები საინტერესოდ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე , თემატურ კომპოზიტორად პ. ჩაიკოვსკი და მისი „საბავშვო ალბომი ''აირჩიეს, ისაუბრეს კლასიკურ და ხალხურ შემადგენლობებზე, შეასრულეს და ისაუბრეს მუსიკალურ ნაწარმოებებზე და ბოლოს, საბალეტო წარმოდგენაში, საკუთარი როლების ჩვენებით, საზეიმოდ დახურეს „მუსიკის მოსმენის'' ორწლიანი კურსი და ჯეროვნად დაიმსახურეს აპლოდისმენტები და წარჩინების სიგელები. საგანს უძღვებოდა თეორიული საგნის პედაგოგი ინგა ხრიკაძე.

15. 23 ივნისი, 2017 წელი. ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სასწავლო წლის საანგარიშო კონცერტი . კონცერტში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეების დიდმა ნაწილმა და პედაგოგებმა მსმენელის წინაშე წლის ნამუშევარი წარადგინეს. .აღსანაშნავია, რომ უკვე ერთი წელია, რაც სამუსიკო სკოლაში ისწავლება საგანი-ქართული მუსიკალური ფოლკლორი და გალობა(პედ. ლედი კურთხაშვილი) და წლევანდელ კონცერტზე პირველად წარსდგა გუნდი რამოდენიმე საგალობელით.

16. 24 ივნისი, 2017 წელი. ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა ფესტივალ-კონკურსი, „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გალა კონცერტი, სადაც მონაწილეობდა ხაშურის სამუსიკო სკოლის საფნო განყოფილების V კლასის მოსწავლე მარიამ მელაძე, სოლო სიმღერაში პედაგოგი(ლ. ტატიშვილი), რომელმაც კლასიკური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურა I ადგილი და ოქროს მედალი.

17. 28 -30 ივნისი, 2017 წელი. ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის I ფესტივალი „რეგიონის ხელოვანები“. 28 ივნისს ჩატარდა ფესტივალში ყველა მონაწილის გამოსვლა. 30 ივნისს გაიმართა გალა კონცერტი. გალა კონცერტში ხაშურის სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლების საუკეთესო მოსწავლეები მონაწილეობდნენ და მრავალფეროვანი საკოცერტო პროგრამით წარსდგნენ მსმენელის წინაშე . კონცერტის ბოლოს გაიმართა დაჯილდოების ცერემონია, სადაც სამუსიკო სკოლების წარმატებულ პედაგოგებს და მოსწავლეებს სპეციალური დიპლომები გადაეცათ.

ფესტივალი მომავალ წელსაც ჩატარდება და უფრო მასშტაბ-

(დასასრული III გვერდზე)

(დასასრული)

ურ ხასიათს მიიღებს.

18. 7 ივლისი, 2017 წელი. ქ. ბორჯომში ჩატარდა ქართული ფოლკლორისა და კლასიკური განვითარების კავშირის „ჰარმონია ‘’ თავ.-რის ც. ბიჭიკაშვილის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდა მუსიკოს -შემსრულებელთა VI ეროვნული ფესტივალი, სადაც მონაწილეობდნენ საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლეები:

I კლასის მოსწავლე ანი ქურდაძე,

II კლასის მოსწავლე სოფიო ნოზაძე, სანდრო კაპანაძე, დავით ნოზაძე (ფ-ნო პედ. ნინო ახალკაცი)

IV კლასის მოსწავლე თამარ ნასყიდაშვილი;

V კლასის მოსწავლე ლიკა კალმახელიძე.

სავიოლინო კლასის პედაგოგი ფატი სადაღაშვილი, კ/მ თამაზ აბრამიძე.

19. 11 ივლისი, 2017 წელი. გალა კონცერტზე მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა: სანდრო კაპანაძემ (ვიოლინო), სოფიო ნოზაძემ (ვიოლინო), დავით ნოზაძემ (ფ-ნო)

ყველა მონაწილემ დაიმსახურა დიპლომები.

20. 2017 წლის 24 სექტემბერს სურამში „ლესიაობის“დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო ხაშურის სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლმა პედაგოგ ფატიმა სადაღაშვილის ხელმძღვანელობით.

21. 2017 წლის 26 დან 29 სექტემბრის ჩათვლით ქ. თბილისში ჩატარდა „ფიესტალონია მილენიოს“ მიერ დაარსებულ ხელოვნების ქართულ- ესპანური საერთაშორისო ფესტივალ- კონკურსი“ იესტალონია ეორგია”, სადაც, 27 სექტემბერს, მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: ვიოლინო- ლიკა კალმახელიძე მე-6 კლასი, სოფიო ნოზაძე მე-3 კლასი (პედ. ფ. სადაღაშვილი , კ/მ თ. აბრამიძე). ფესტივალი ჩატარდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში. მოსწავლეები წარმატებით წარსდგნენ მსმენელის წინაშე და დაჯილდოვდნენ დიპლომებით.ასევე მიიღეს მიწვევა „ფიესტალონია მილენიოს“ კონკურსზე ესპანეთში, რომელიც გაიმართება აპრილი თვეში. სოფიო ნოზაძემ ფესტივალში დაიკავა პირველი ადგილი და 29 სექტემბერს შეასრულა გალა კონცერტზე ჯენკინსონის „ცეკვა“.

22. 2017 წლის 24,25,26 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ჩატარდა მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“, სადაც მონაწილეობდა მე-6 კლასის მოსწავლე ლიკა კალმახელიძე(პედაგოგ ფ. სადაღაშვილის კლასი). მან სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა ნაარმოები და მიიღო ლაურიატის წოდება, ხოლო პედაგოგს გადაეცა სერთიფიკატი.

23. 2017 წლის 8-11 დეკემბერს, ქ. თბილისში, საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიაში კლასიკური მუსიკის მე-7 ეროვნული კონკურსი გაიმართა. კონკურსში მონაწილეობდა ხაშურის სამუსიკო სკოლის მე- 3 კლასის მოსწავლე მევიოლინე სოფიო ნოზაძე (პედაგოგ ფ. სადაღაშვილის კლასი, კ/მ თ. აბრამიძე).ნორჩი მევიოლინე რომელიც „ა“ კატეგორიაში გამოდიოდა, პირველი პრემიის ლაურიატი და ვალერიან შიუკაშვილის სახელობის სტიპენდიანტი გახდა.

24. 2017 წლის 26 დეკემბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა ტრადიციული საშობაო კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სკოლის როგორც საფორტეპიანო ისე საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა. ამ კონცერტში პირველად წარსდგნენ პირველი კლასის მოსწავლეებიც.

25. 7 წლის 28 დეკემბერს, ქ. თბილისში კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა ქართული ფოლკლორისა და კლასიკური განვითარების კავშირის „ჰარმონია ‘’ თავ.-რის ც. ბიჭიკაშვილის მიერ ორგანიზებული საახალწლო კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა :

1. ანი ქურდაძე - მე-2 კლასი – ვიოლინო (პედ. ფ. სადაღაშვილი, კ/მ თ. აბრამიძე),

2. ნოზაძე სოფიო -- მე3 კლასი - ვიოლინო (პედ. ფ. სადაღაშვილი) კ/მ ნოზაძე დავითი – მე- 3 კლასი, ფორტეპიანო (პედ. ნ. ახალკაცი)

3. ნასყიდაშვილი თამარ, მე-5 კლასი, ვიოლინო (პედ. ფ. სადაღაშვილი, კ/მ თ. აბრამიძე).

2017 წელს კვლავ აგრძელებს სკოლაში ფუნქციონირებას სიმებიანი კვარტეტი და შალვა მშველიძის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელი.

სიმებიანი კვარტეტი წარმატებით მონაწილეობს წლის განმავლობაში სხვადასხვა რაიონულ ღონისძიებებში.

2017 წლის 7 აპრილი . კვარტეტი აგრძელებს პროგრამას „მუსიკა და ბავშვები“ , რაც პოპულარიზაციას უწევს კლასიკურ მუსიკას. კვარტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქის ღონისძიებებში და ატარებს კონცერტ- ლექციებს საჯარო სკოლებში. ლექციები კვარტეტის ინიციატივით ტარდება,რათა საჯარო სკოლის მოსხწავლეები მეტად დაინტერესდენ კლასიკუტი მუსიკით და ეზიარონ ხარისხიან მუსიკას. ასეთი საღამო ჩატარდა ხაშურის მე-5 საჯარო სკოლიში. მუსიკის მასწავლებელმა მაკა ცაცანაშვილმა აქტიურად ჩართო მოსწავლეები ღონისძიებაში ,ბავშვებმა თვითონვე წაიყვანეს საღამო, ისაუბრეს კომპოზიტორებსა და საკრავებზე.

მსგავსი კონცერტები ჩატარდა ხაშურის სამუსიკო სკოლაში , I, III, VIII – საჯარო სკოლებში და დ. ყიფიანის სახელობის სკოლა-ლიცეუმში.

2017 წლის 23 სექტემბერს, კვარტეტმა მონაწილეობა მიიღო „ხაშურობის“ ტრადიციულ დღესასწაულში.

ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელი წარმატებით მონაწილეობს რაიონულ და რეგიონალურ ღონისძიებებში (კონცერტები, ფესტივალები ,კონკურსები) კერძოდ:

ა) არტ-გენი---26.08.2017წ.

ბ) ქ. თბილისი , მე- 3 საგუნდო ფესტივალი, I ტური – 02.02 2017 წ.

გ) ქ. თბილისი ,მე- 3 საგუნდო ფესტივალი, – I ტური 01.06.2017წ.

დ) ქ. ხაშური დელფიადა – მაისი, 2017 წ.

ე) სურამი, ლესიაობა ---24.09.2017წ.

ვ) ხაშურის საჯარო სკოლებში ყოველკვირეული კონცერტები:

ზ) ბორჯომი. საგუნდო ფესტივალი „კავკასიური სახლი“–24.12.2017 წ.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სტრუქტურული ერთეული სურამის სამუსიკო სკოლაში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

1. 2017 წლის 2017 წლის 3 მარტს, ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.
2. 6 ივნისს ჩატარდა საანგარიშო კონცერტი.
3. 2017 წლის 28 ივნისს სამუსიკო სკოლის 11 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა კლასიკური მუსიკის პირველ ფესტივალზე „რეგიონის ხელოვანები’’

1. გელაშვილი ანა, VI კლ. პედ. ს. ტაბატაძე
2. გელაშვილი ქეთი, IV კლ. პედ. ს. ტაბატაძე
3. პაქსაშვილი თიკა, II კლ. პედ. ს. ტაბატაძე;
4. ხაჩიძე ნინი, I კლ. პედ. ს. ტაბატაძე;
5. ხაჩიძე თინათინი, V კლ. პედ. ლ. ხარაზიშვილი;
6. ტაგანაშვილი თათია, I კლ. პედ .მ. ინდუაშვილი;
7. ტეფნაძე ბაია, IV კლ. პედ. მ. ინდუაშვილი;
8. ცხადაძე ბარბარე, II I კლ. პედ. მ. ინდუაშვილი;
9. ჩაჩავა კირა, I კლ. პედ. ე. ხოლუაშვილი;
10. ფანჩულიძე საბა, VI კლ. პედ. ც. ლაბაძე;
11. ქურდაძე ნია, V კლ. პედ. მ. ლომსაძე.

4. 2017 წლის 26-დან 29 სექტემბრის ჩათვლით, ქ. თბილისში, ჩატარდა „ფიესტალონია მილენიოს“ მიერ დაარსებულ ხელოვნების ქართულ- ესპანური საერთაშორისო ფესტივალ- კონკურსი“ იესტალონია გეორგია”, სადაც, 27 სექტემბერს, მონაწილეობა მიიღო სურამის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების კურსდამთავრებულმა მოსწავლემ საბა ფანჩულიძემ. ფესტივალი ჩატარდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში. მოსწავლე დაჯილდოვდა მე-3 ხარისხის დიპლომით.

5. 2017 წლის 29 ნოემბერს, სამუსიკო სკოლის პედაგოგმა ნათელა დავითიანმა ჩაატარა კლასიკური მუსიკის საღამო.

6. 2017 წლის 4 დეკემბერს, პედაგოგმა ნათელა დავითიანმა ჩაატარა კლასიკური მუსიკის საღამო სამუსიკო სკოლის მოსწავლეების და მშობლებისათვის.

7. 2017 წლის 28 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო კონცერტი.

სტრუქტურული ერთეული ქვიშხეთის სამუსიკო სკოლაში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

1. 2017 წლის 3-8 მარტის ჩათვლით ჩატარდა კვირეული თემაზე „გაზაფხული და მუსიკა’’ .8 მარტს კი ჩატარდა საზეიმო კონცერტი.

2. 2017 წლის 1 ივნისს ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, სადაც მოსწავლეებმა შეასრულეს როგორც საფორტეპიანო, ისე ვოკალური და საგუნდო ნაწარმოებები.

3 2017 წლის 28 ივნისს, სამუსიკო სკოლის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა კლასიკური მუსიკის პირველ ფესტივალზე „რეგიონის ხელოვანები’’. საფორტეპიანო კლასის მოსწავლე ნუკა სუხიაშვილი .პედ. შ. ჩაჩანიძე.

I კლასის მოსწავლეები მარიამ პავლაძე, მარიამ გიორგაძე პედ. თ. ხაჩიძე. გაეთიანებული გუნდი ე. ჩაჩანიძის ხელმძღვანელობით.კ/მ შ. ჩაჩანიძე.

4. 2017 წლის 30 ივნისს, მოსწავლეთა გუნდი წარსდგა საგუნდო ნომრით,,ედელვაისი’’. ყველა მონაწილე და პედაგოგი დაჯილდოვდა სამახსოვრო დიპლომებით.

5. 2017 წლის 29 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო კონცერტი.

ლ. რუხაძე,
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო
დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების
გაერთიანების დირექტორი

საქართველოს ისტორია და ილია ჭავჭავაძის მოსაზრება მიწათმფლობელობის საკითხზე

ჩვენი დიდი ისტორიკოსი **ივანე ჯავახიშვილი** წერდა:

1880 წელს დაბეჭდილ წერილში ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისთვის თვალი დაუკვირვებია“.

ყველამ იცის, „რომ ჩვენ ხალხს ორი ათასი წელი უცხოვრია თავისი ცხოვრებითა და თვითმარქვიებითა. უეჭველია, რომ ამ ორიათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმოყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად“. თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს, საქართველო „იარაღით ხელში იდგა“, რადგან მტერი თითქმის „ყოველი მხრიდამ მოწოლილი იყო“. მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილია ჭავჭავაძე კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა“-ო, ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ საუკუნის წინათ, „საკვირველი ის არის, – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა?

ეს ერთი მუჭა ხალხი, თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, მაგრამ საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდაო, კითხულობდა ჩვენი დიდებული მგოსანი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაივაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“-ო.

ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამცემი მაშინ საქართველოში არავინ იყო, ის მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თვითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმო და დიდმნიშვნელოვან ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა.

იმ ეკონომიკურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილია ჭავჭავაძეს მიწათმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენ ეკონომიკურ“ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან: ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველში ე.ი. სოფლის საერთო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო მამულები, მიწა, მინდორი (საძოვარი), ტყე, რომელიც საერთო-სასოფლო საზოგადოების ხმარებაში არსებობდა; მეორე – საკომლო, რომელიც თუ ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა და მიწის განკერძოება მოხდებოდა, მაშინ მიწათმოქმედებაში უსწორ-მასწორობას ფართო გზა გაეხსნებოდა. თუ საერთო სასოფლო საკუთრება გაძლიერდებოდა, მაშინ იმ უსწორმასწორობას გზა შეეკვრებოდა. აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაფრთხილებოდნენ, როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თვითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს-ო,– ამბობდა ილია,– „რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო და მამულების ნაყოფიერების შესაბამისად ნაწილდებოდა, ზოგან ოცი დღიური, ზოგან მეტი ან ნაკლები და ასე შემდეგ. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენი ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა საერთო სასოფლო“-ო.

შემდეგ საუკუნეებში, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს ეკონომიკური წყობილების ამ დადებით მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი კერძო საკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უთანასწორობა მიწათმფლობელობაში არა მარტო კომლთა შორის, არამედ სოფლებს შორისაც“-ო. როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანი ჩვენ დიდ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

დღეს, თუმცა სხვა დროში და გარემოებაში, გვიხდება ცხოვრება, მაგრამ არა მგონია ჩვენი დიდი მოღვაწის მოსაზრებამ მნიშვნელობა დაეკარგა და მოძველდა. სწორედ მიწათმფლობელობის საკუთრების ფორმების მოგვარებაზეა დამოკიდებული დღესაც ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ერის არსებობის საკითხი ჩვენი მომავალია.

გივი გელაშვილი

<u>მამულო შენდა...</u>

მაყვალა ხაჩიძის "ჟურნალისტური ჩანაწერები"

მისასალმებელია, რომ ყოველთვის, დაარსებიდან დღემდე, მკითხველის სამსახურში პირნათლად იდგა ხაშურის რაიონული გაზეთი.დამოუკიდებლობის რელსებზე გადასვლამ თავისუფლად, ობიექტურად წერის უფლება მოჰმადლა გაზეთს. განსაკუთრებით XX ს 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა შეცვალა გაზეთის თემატიკა. ქვეყნის ყველა სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა როგორც პოლიტიკურ,ასევე ლიტერატურულ სივრცეში, ქართულ პრესაში. აღნიშნულ მოვლენებს სისტემატიურად აშუქებდა ხაშურის რაიონის პერიოდული გაზეთი,რომელსაც მიუხედავად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისებისა, არსებობა არ შეწყვეტია.დროსთან ერთად იცვლებოდა გაზეთის სახელწოდება „გამარჯვების გზა“, „ალიონი“, „ხაშურის მოამბე“. როგორც საქართველოს ყველა მოქალაქე, აღნიშნული გაზეთის ჟურნალისტები, ტკივილით, მაგრამ ოპტიმისტური განწყობით ხვდებოდნენ ყოველ სიახლეს. აშუქებდნენ როგორც ქვეყნის გულში,ასევე მათ გარშემო მიმდინარე პროცესებს. აღნიშნულ პერიოდებში რაიონული გაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხაზს უძღვებოდა რედაქტორის მოადგილე,ეროვნული სულისკვეთების ჟურნალისტი ქალბატონი მაყვალა ხაჩიძე. მისი საგაზეთო წერილები,რომელიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მკითხველში, საშუალებას გვაძლევს, ქრონოლოგიურად მივადევნოთ თვალი 9 აპრილისა და მის შემდგომ,სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს.ომის შემდგომ პერიოდს...ზოგადად,ყოველივე იმას, რაც მისი მოღვაწეობის პერიოდში ხდებოდა და კვალდასამჩნევად მიაჩნდა ჟურნალისტს.

და აი,სულ ცოტა ხნის წინ,ხაშურის საზოგადოებამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო- ქალბატონმა მაყვალა ხაჩიძემ თავი მოუყარა ადგილობრივ გაზეთში მის მიერ, სხვადასხვა დროს (ნახევარი საუკუნის მანძილზე) გამოქვეყნებულ, მნიშვნელოვან 150-მდე წერილს და ეს მეტად საინტერესო მასალა ერთ წიგნად შემოგვთავაზა. წიგნში თავმოყრილია როგორც პუბლიცისტური ასევე მხატვრული ხასიათის წერილები,სადაც ნათლად იგრძნობა იმ პერიოდის ხაშურის პულსაცია. „წიგნი-ისტორია,“ასე დავარქმევდი ნაშრომს,რომლის გაცნობითაც მკითხველი სიამოვნებასთან ერთად,უთუოდ, დიდ სიამაყესაც იგრძნობს.

მოხარული ვარ,რომ ქალბატონმა მაყვალამ ხაშურის რაიონში დაცალა „ხურჯინი“ ლამაზი სულისა, მამულის ჭირისუფლობა იტვირთა,მოგვეფერა: „კიდევაც დაიზრდებიანო“- გაგვამხნევა და დაგვაიმედა.ცოტა არაა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში იდგე შენი რაიონის საზოგადოებრივი საქმიანობის საპატიო, საპასუხისმგებლო საჭესთან,- გენდობოდნენ და უყვარდე...

სრულიად ხაშურის რაიონს ვულოცავ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნის დაბადებას,მაყვალა ხაჩიძის „ჩვენებურობას“, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ აქ, ჩვენს გვერდითაც დააბიჯებენ ისეთივე ფასდაუდებელი ადამიანები,როგორებითაც დიდად ამაყობს ჩვენი ქალაქი. რომ მათ, თითოეული ჩვენთაგანისგან, სათანადო დაფასება და პატივისცემა სჭირდებათ. ბ ა დ ა გ ი ქცეოდეს მას მელნად, ტკივილი აორთქლებულიყოს მისი სულიდან და გაბრწყინებული მამული ყოფილოყოს მისი სავიზიტო ბარათი „ჰელიკონზე“.

კლარა გელაშვილი



ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა დასრულდა

საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი, ქვიშხეთი-ზვარეს 8350-მეტრიანი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა 28 მაისს დასრულდა. გრძელდება სარკინიგზო ხიდების, ათეულობით დამცავი კედლისა და ნაგებობის მშენებლობა. უახლოეს მომავალში, საქართველოს რკინიგზა უსაფრთხო გადაადგილების გასაუმჯობესებლად, მართვის ახალ სისტემაზე გადასვლასაც გეგმავს. ქვეყნის რკინიგზის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება 2019 წლის დეკემბრამდე დასრულდება. კომპანიაში მოდერნიზაციის პროექტს პირდაპირ უკავშირებენ ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის გაზრდასა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებას. რა გავლენას იქონიებს განახლებული რკინიგზის ამოქმედება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე და გახდება თუ არა საქართველოს რკინიგზა ალტერნატიულ დერეფნებს შორის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი, რა ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს კომპანია, საქართველოს რკინიგზის კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსს, აკაკი საღირაშვილს ვესაუბრეთ.

- ბატონო აკაკი, მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში ქვიშხეთი-ზვარეს მეორე საოპერაციო გვირაბის გაყვანა დასრულდა. რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება საქართველოს რკინიგზისთვის?

– ქვიშხეთი-ზვარეს მარცხენა საოპერაციო გვირაბის პრეზენტაცია 2017 წლის 19 ნოემბერს გაიმართა. დღეს კი მარჯვენა საოპერაციო გვირაბი გაიხსნა. ბეჟათუბნის, ბაზალეთის, ანეულასა და ძირულას ორივე გვირაბი ექსპლუატაციაში უკვე შევიდა. ექვსივე გვირაბი მოდერნიზაციის პროექტის ნაწილია, რაც თავისთავად გულისხმობს უღელტეხილის მონაკვეთზე მოძრაობის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით, რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობის გაზრდასა და მგზავრობის დროის შემცირებას. პროექტის დასრულების შემდეგ გაუმჯობესდება არსებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები. ზესტაფონი-ხარაგაულისა და მოლითი-ქვიშხეთის მონაკვეთებ-

ზე არსებული 29%-ის ნაცვლად მაქსიმალური ქანობი 17,5 %-მდე დაიწევს, ხოლო მრუდის მაქსიმალური რადიუსი 200-დან 400 მეტრამდე გაიზრდება. ამ მაჩვენებლების ცვლილება საშუალებას მოგვცემს სატვირთო გადაზიდვებისთვის სიჩქარე 80 კმ/სთ, სამგზავრო მატარებლებისთვის კი 120 კმ/სთ გაიზარდოს. ყოველივე ზემოაღნიშნული შეამცირებს არსებული ინფრასტრუქტურის საოპერაციო ხარჯებს და რკინიგზის გამტარუნარიანობას წელიწადში 27-დან 48 მილიონ ტონამდე გაზრდის. მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში 12 სარკინიგზო ხიდის მშენებლობაც მიმდინარეობს. ცოტა ხნის წინ ზესტაფონი-შორაპნის მონაკვეთზე 2 400 მეტრი ლიანდაგის დაგება დასრულდა. დამცავი კედელი აშენდა მდინარე რიონზე, რომელიც სარკინიგზო ხიდის ბურჯებს დაზიანებისგან დაიცავს. ხარაგაული-ლაშეს მიმართულებით 4 კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთი უახლოეს პერიოდში ორლიანდაგიანი გახდება. 2018 წლის აპრილის მონაცემებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული სამუშაოების 79% უკვე შესრულებულია.

- პროექტი საკმაოდ მასშტაბურია. სოლიდურია მისი ღირებულებაც. რამდენი ადამიანის დასაქმება მოახერხა ამ პროექტმა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის რა სარგებლის მოტანა შეუძლია მას მომავალში?

– მოდერნიზაციის პროექტის ღირებულება 260 მილიონ 126 ათასი შვეიცარიული ფრანკია და იგი სრულად საქართველოს რკინიგზის შემოსავლებიდან ფინანსდება. როგორც აღვნიშნე, პროექტის დასრულების შემდგომ, გაუმჯობესდება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მგზავრობის დრო და სატვირთო გამტარუნარიანობა, რაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევრო-აზიური სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის საშუალებით, საქართველოს სარკინიგზო კორიდორი საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიებისათვის მეტად მიმზიდველი გახდება. რაც მთავარია, მომავალში იგი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ფუნქციონირებასთან ერთად, სატვირთო გადაზიდვებზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში, 300-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა, რაც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამუშაოებს კი „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ახორციელებს.

- პროექტის დასრულების შემდეგ, ხომ არ არის მოსალოდნელი ტარიფების ზრდა?

– მოდერნიზაციის პროექტის განხორციელებას სატარიფო პოლიტიკაზე გავლენა არ გააჩნია. იგი მთლიანად დამოკიდებულია სატვირთო გადაზიდვების არსებულ ბაზარზე და შესაბამისად, წარმოადგენს რკინიგზის, როგორც ბიზნესის კომერციულ ნაწილს.

- ზვარეს ტერიტორიაზე მეწყერსაშიში ზონა გაჩნდა. ჩამოწოლილმა მეწყერმა პროექტის მიმდინარეობას გარკვეულწილად ხელი შეუშალა. რას გეგმავს რკინიგზა პრობლემის მოსაგვარებლად?

– ზვარეს ტერიტორიაზე საეჭვო გეოლოგიური პროცესების დაწყების შესახებ სამუშაოს მწარმოებლებმა დაუყოვნებლივ აცნობეს საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას. კომპანიამ გარემოს დაცვის სააგენტოს მალევე მიმართა და შესაბამის სპეციალისტებთან ერთად, მეწყერსაშიში ზონის პირველადი შესწავლა მოხდა. დათვალიერების შემდეგ, ინჟინერ-გეოლოგებმა სამუშაოების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღეს. გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც, გეოლოგიური პროცესების შესწავლის მიზნით, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ მდინარე ზვარულას გაწმენდა და ტერიტორიის მუდმივი მონიტორინგი დაევალა. ერთ-ერთმა კონტრაქტორმა ჯგუფმა კომპლექსური გეოლოგიური კვლევაც წარმოადგინა და მომზადდა საპროექტო გადაწყვეტილებაც. თუმცა, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს რკინიგზამ პროექტის ექსპერტიზაში მესამე, დამოუკიდბელი მხარის ჩართვა გადაწყვიტა. შეირჩა ავსტრიული კომპანია- "IC CONSULENTEN ZIVILTECHNIKER GESMBH", რომელიც საკონსულტაციო მიმართულებით დარგის წამყვან სპეციალისტებს აერთიანებს.

- საქართველოს რკინიგზაში კიდევ ერთი სიახლე იგეგმება. კომპანია მიკროპროცესორული ტიპის მართვის სისტემებზე გადადის. რას გულისხმობს ამ სისტემის დანერგვა?

– მიკროპროცესორული ცენტრალიზაცია, ე.წ. მპც ასევე მოდენიზაციის პროექტის ფარგლებში ხორციელდება. იგი დღეს არსებული სარელეო ელექტრული ცენტრალიზაციის, ე. წ. სცბ-ს ფუნქციურ ანალოგს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის მოწყობილობების კომპლექსი ათეულობით წლის მანძილზე ემსახურა საქართველოს რკინიგზას, თუმცა დღეს იგი ძალიან მოძველებულია და ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ სისტემის ფუნქციონირებით შეუძლებელია ახალი ოპერაციების დამატება, გაიზარდა მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის რისკი, სისტემაში შეუძლებელია პრევენციის გატარება, რელეური და ბლოკური სისტემები მოძველებულია. მისი ხანდაზმულობის გამო, შეუძლებელია სათადარიგო ნაწილების შესყიდვაც. ამიტომაც გახდა აუცილებელი მაღალპროდუქტიული და უსაფრთხო მოწყობილობების დანერგვა. სარელეო სისტემების მიკროპროცესორულ ბაზაზე გადასვლისას ახალი შესაძლებლობები ჩნდება. მისი ამოქმედებით მოხდება ჩანაწერების ავტომატური შენახვა, მონაცემთა ბაზის ფორმირება, დისპლეიზე დამატებითი ინფორმაციის გამოტანისა და მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში ინტეგრირების შესაძლებლობა, მართვის სისტემაში ჩართული მონაწილეებისათვის მრავალმხრივი ინფორმაციისა და ანგარიშების მიწოდება. ეს ყველაფერი კი ჯამში, სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობისა და მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების გაზრდის გარანტია.

ჯეასიჯური მუსიჯის საღამო - ხაშურში

30 მაისს, ხაშურის მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის, თბილისის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეთა ორკესტრისა და ხაშურის სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების მოსწავლეთა ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

შესრულდა იოჰან სებასტიან ბახის „სუიტა“, “არია“, ბაკლანოვას „ფერხული“, ლიტვინოვის „მუდმივი მოძრაობა“, ხაჩატური

ნის „ანდანტინო“, მილერის „სერენადა“ და სხვა. მსმენელის განსაკუთრებული ოვაციები დაიმსახურა ქართულმა კლასიკურმა მუსიკამ: გია ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“, „როცა აყვავდა ნუში“, „შერეკილები“. სულხან ცინცაძის „მინიატურები“, „ლალე.“

ორკესტრს ხელმძღვანელობდა ირინა ოდიშარია, საბავშვო ორკესტრს დირიჟორობდა მარიამ შაშიაშვილი.

კლასიკური მუსიკის საღამოზე,ხაშურის სამუსიკო სასწავლებლიდან, მონაწილეობდნენ პედაგოგ ფატი სადაღაშვილის მოსწავლეები: ლიკა კალმახელიძე, სოფიო ნოზაძე, ანი ქურდაძე, დემეტრე გელაშვილი, ლაშა ხუციშვილი, საბა ხუციშვილი , ანი გოლუბიანი და სანდრო კაპანაძე.

დასასრულს, კონცერტის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გურასპაშვილს, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსს კონსტანტინე ფრუიძეს და აღნიშნეს, რომ ამ ადამიანების მხარდაჭერის გარეშე საღამო ვერ შედგებოდა.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის სამუსიკო სკოლაში, კლასიკური მუსიკის კონცერტები რეგულარულად იმართება და დასწრება თავისუფალია.

ნიკა ლომიძე – საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია

ამ დღეებში, ყაზახეთში, დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბერძნულ –რომაულ სტილში მოჭიდავეთა შორის, სადაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. ნაკრების წევრთა შორის იყო ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილი **ნიკა ლომიძე** (97კგ. მწვრთნელი კახაბერ ლომიძე), რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში შეძლო და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. წინ ევროპისა და მსოფლიო პირველობებია და იმედია, ნიკა იქაც ისახელებს თავს.

- ბატუტზე ხტომა –

ლერი ბლიაძე საქართველოს ჩემპიონია

არცთუ დიდი ხანია, რაც ხაშურის სასპორტო სკოლაში სპორტის ერთ-ერთი ულამაზესი სახეობის – ბატუტზე ხტმის სექცია ჩამოყალიბდა. ამ საქმის წამომწყებები, ამ სახეობაში, მსოფლიო ჩემპიონი ზაზა აბრამიშვილი იყო. დღეს კი სექციის შესანიშნავი სპეციალისტ შ. კალოევი ხელმძღვანელობს. ამ დღეებში, მისმა აღსაზრდელებმა საქართველოს ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და მშვენიერი შედეგიც აჩვენეს: მე-8 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე **ლერი ბლიაძე**, (სურათზე) ის თავის ასაკში, საქართველოს ჩემპიონი გახდა. **ანი გურგეიძემ** და **ნია ჩინჩალაძემ** კი ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

,,დურუს თასი" - სურამლელებს დარჩათ

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიმართა ტურნირი მინი ფეხბურთში. ტურნირი, რომელიც უკვე ტრადიციულია, 2016 წელს, ტრაგიკულად დაღუპული სამი ახალგაზრდის ხსოვნას ეძღვნება და „დურუს თასითაა" ცნობილი. ტურნირი საკმაოდ მასშტაბური იყო და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების გუნდებიც მონაწილეობდნენ. ფინალში ერთმანეთს „სურამი" და „შინდარა" დაუპირისპირდნენ, სადაც სურამის გუნდმა იმარჯვა – 3:1 და საპატიო თასსაც დაეუფლა. მესამე ადგილი „სელესაოს" დარჩა. გამარჯვებულმა გუნდმა თასთან ერთად ფულადი პრიზიც მიიღო.

ტურნირი ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის და ხაშურის სასპორტო სკოლის მიერ.

– იუმორი –

აკი, არ ჩავაო?

როდესაც სვანებზე ანეგდოტებს ვისმენ, გაზვიადებული მეჩვენება, ზოგიერთი აშკარად გროტესკული ანეგდოტი ხომ სალაღობო ხასიათის ზეპირი მოთხრობაა და მასში მოცემულია უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი შემთხვევები, პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის შესახებ, როგორც ჩანს, სვანებში, არის, რაღაც დამახასიათებელ საქციელი, რომელსაც კურიოზებამდე მივყავართ და ანეგდოტურ სიტუაციებს ქმნის-ამას ჩემი მეზობლის მონათხრობი ნამდვილი ამბავიც ადასტურებს.

პოლკოვნიკი გია კაკიაშვილი აფხაზეთის ომის მონაწილეა. ომის დაწყებიდან, დამთავრებამდე იბრძოდა. აი, რა გვიამბო სვანებთან ურთიერთობის შესახებ:

“ერთხანს, დალის ხეობაში მომიხდა ყოფნა, სვანებთან ახლო ურთიერთობა მქონდა. ყველა იარაღით დადიოდა. ჩვენთან მოდიოდნენ, ხან რას გვთხოვდნენ და ხან-რას. ერთხელ, სვანურ სოფელში მივდიოდი. გზაზე სვანი გადამიდგა, გააჩერეო-ხელი ამიწია. გადმოვედი მანქანიდან, რა გნებავს-მეთქი-ვკითხე... 5 ლიტრი ბენზინი უნდა მომცეო... კი, ბატონო, მაგრამ ჭურჭელი არა მაქვს-მეთქი. მე მაქვსო და 3ლიტრიანი პლასტმასის ბალონი მომაწოდა. ამაში 5 ლიტრი არ ჩავათქო. ჩაასხი, ჩავაო... გავუვსე ჭურჭელი და მივაწოდე. მხარზე ხელი ღონივრად დამკრა და სიცილით მითხრა-აკი, არ ჩავაო?!

კ. სუთიაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.